პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 153^{13} მუხლი:

„მუხლი 153^{13}. მეწარმე იურიდიული პირის პოლიტიკური აქტივობა

1. მეწარმე იურიდიული პირის მიერ საჯაროდ ისეთი პოლიტიკური აქტივობის განხორციელება, რომელიც არ არის დაკავშირებული მის ძირითად სამეწარმეო საქმიანობასთან, –

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას – 20 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედების ჩადენა, –

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას – 40 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის პოლიტიკურ აქტივობად მიიჩნევა საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოხდენის მიზნით განხორციელებული ან განსახორციელებელი აქტივობა, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, გატარებისკენ ან შეცვლისკენ.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 229^{10} მუხლი:

„მუხლი 229^{10}. სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ამ კოდექსის 153^{13} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.“.

3. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 39^2 პუნქტი:

„39^2. ამ კოდექსის 153^{13} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილი პირები.“.

4. 242-ე მუხლის 3^1 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^1. ამ კოდექსის 55^2, 55^5, 55^6, 150^2, 150^3, 151^1, 152-ე და 152^3–152^9 მუხლებით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4 მუხლით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^9, 153^{13}, 158^3 და 158^4 მუხლებით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე და 159^1 მუხლებითა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევს გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

5. 262-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 171-ე და 175^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილება 1 დღე-ღამის ვადაში, ამ კოდექსის 116-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებით, 142-ე და 154-ე მუხლებით, 174^1 მუხლის მე-4, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებითა და 174^2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები – 3 დღის ვადაში, ხოლო ამ კოდექსის 50^1, 51^1, 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 55^5, 55^6, 58^2, 59^2, 61-ე და მე-80 მუხლებით, 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებით, 88-ე, 91^2, 92^1, 94-ე, 95-ე, 96^1, 96^2, 96^4, 99-ე, 100^1, 100^2, 103-ე, 103^2 და 103^3 მუხლებით, 103^4 მუხლის პირველი და მე-2

ნაწილებით, 104-ე, 105^{1}, 107^{1}, 141-ე, 143-ე–144^{1}, 144^{3}–144^{5}, 144^{10}, 145-ე, 146^{1}, 148-ე–150^{1}, 151^{1}, 152-ე, 152^{2}–152^{9}, 153-ე, 153^{13}, 154^{1}, 154^{2}, 156-ე–158^{1},159-ე, 159^{5}–159^{9}, 163-ე, 164-ე, 166^{1}, 167-ე, 170-ე, 174-ე და 175-ე მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177^{1} მუხლით, 177^{13} მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4^{1} ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში) და 179^{1}, 180-ე–183^{1}, 185-ე–185^{2}, 187-ე, 187^{1}, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^{3}, 196^{6} და 197^{1} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები – 7 დღის ვადაში.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**